სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 ნოემბერი, 2024 წ.

ბრძანება N01-12/192

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში
სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში **სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის** გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2024 წლის 16 ოქტომბრის N01-10/89 ბრძანებისა** და „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 ნოემბრის N01-10/98 ბრძანებისა და ამავე ბრძანებით შექმნილი კომისიის მდივნის (ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის) ნინო კიკნაძის 2024 წლის 19 ნოემბრის №1488030 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 16 ოქტომბრის N01-10/89 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად **ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების** ინსტიტუტში სტაჟიორებად დაინიშნონ:

   ა) **მარიამ გოგიტიძე** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი;

   ბ) **ლიკა ხარაძე** - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი;

   გ) **ლანა ირემაძე** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,ბიოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი;

2. სტაჟიორები დაინიშნონ 2024 წლის 01 დეკემბრიდან 2025 წლის 01 თებერვლამდე პერიოდში (2 თვე), ანაზღაურების გარეშე და მათი სამუშაო განრიგი (სამუშაო დღეში 4 საათი) განისაზღვროს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის მიერ.
3. სტაჟიორთა ხელმძღვანელად განისაზღვროს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი - ნინო მხეიძე და მის მიერ განსაზღვრული ინსტიტუტის პერსონალი.
4. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორს დაევალოს არაუგვიანეს 2024 წლის 01 თებერვლამდე წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.
5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტაჟიორებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე